მასწავლებლები

კრიტიკული აზროვნებისთვის

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო
ათიელთა კლუბი

EFA
განათლება ყველასათვის

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება და მოქალაქეების ჩართულობის ხელშეწყობა
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

„პროექტი „მასწავლებლები კრიტიკული აზროვნებისათვის“ ხორციელდება განათლების კოალიციის მიერ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში“.

განათლების კოალიცია 2013 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. მასში გაწევრიანებულია განათლების სფეროში მოღვაწე 15 სხვადასხვა თემატური პროფილის მქონე, ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია. კოალიციის მიზანია ხელი შეუწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ წვდომას ჩვენს ქვეყანაში. კოალიცია სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო მოძრაობის გლობალური კამპანია განათლებისთვის (Global Campaign for Education) წევრია. კოალიცია 2017 წლიდან ახორციელებს კონკურსს „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ათეულთა კლუბი, რომელიც კომპლექტდება ყოველ წელს შერჩეული ათი საუკეთესო მასწავლებლით. კლუბის მიზანია პროგრესული პედაგოგიური პრაქტიკების გავრცელება.

გზამკვლევზე მუშაობდნენ:

ნატალია ინგოროყვა – პროექტის კონსულტანტი

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ ათეულის წევრი მასწავლებელები

ნათია ფურცელაძე

ლადო აფხაზავა

დაჩი ნანობაშვილი

ნინო აბულაძე

მანანა კაპეტივაძე

თემურ სუყაშვილი

ნადია დაბრუნდაშვილი

ელისო აბრამიშვილი

„დღემდის ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიკული აზრი ჩვენის ცხოვრების შესახებ. ეს გარემოება ამით არის უსიამოვნო, ჩვენის წარმატების დამაბრკოლებელი, და გვიჩვენებს ჩვენის გონების გაუწრთვნელობას, ჩვენს გაუფრთხილებლობას და დაუკვირებლობას. აი, აქ არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ყოველი კეთილი საზოგადო საქმე ჩვენში ერთობ ნელის ნაბიჯით მიდის წინ“.

ილია ჭავჭავაძე

„კრიტიკულად აზროვნება დამოუკიდებლად აზროვნებაა და სხვადასხვა უნარების ერთობლიობაა. თუ სწავლება კრიტიკული აზროვნების პრინციპებზეა აგებული, ყოველი მოსწავლე დამოუკიდებლად ახორციელებს საკუთარი იდეის, შეფასების, მრწამსის ფორმულირებას. ვერავინ იფიქრებს კრიტიკულად ჩვენ მაგივრად, ეს „პიროვნული“ საზრუნავია. აზროვნება კრიტიკულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ინდივიდუალური ხასიათისაა. მოსწავლეს საკმარისი თავისუფლება უნდა ჰქონდეს, რათა იფიქროს და დამოუკიდებლად გადაჭრას სხვადასხვა სირთულის საკითხი“.

დევიდ ქლუსთერი

რა არის კრიტიკული აზროვნება?

კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანი უნარების ერთობლიობაა, რომელიც გვეხმარება იმის უკეთ გაგებასა და გააზრებაში, რასაც ვსწავლობთ ან ვაკეთებთ. კრიტიკული აზროვნება აქტიური, შემოქმედებითი პროცესია და არა მარტო ცოდნის გადაცემაზე, ინფორმაციის მოცულობასა და მექანიკურ დამახსოვრებაზე ორიენტირებული განათლებაა. ამ უნარის დახმარებით ვაცნობიერებთ, რომ ნებისმიერ ამბავს თუ ინფორმაციას შესაძლოა, სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. ამიტომაც, აუცილებელია მათი მრავალმხრივი პერსპექტივიდან დანახვა და რაც მთავარია, თითოეულ საკითხზე საჭიროა არგუმენტირებული მსჯელობა.

კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი არა მარტო კონკრეტულ ამოცანებს წყვეტს, არამედ რეალური ცხოვრებისეული გამოწვევებისთვისაც ემზადება. მან უნდა იცოდეს ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; არგუმენტირებულად მსჯელობა, შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით, შეძლოს გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება; ჰქონდეს სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი; ამგვარი აზროვნების უნარი ეხმარება ადამიანს, დამოუკიდებლად გაიკვლიოს გზა თანამედროვე საინფორმაციო ნაკადებში, არ გახდეს მანიპულაციის მსხვერპლი და იცოდეს, როგორ მოიპოვოს, გადაამოწმოს, შექმნას, გაავრცელოს ინფორმაცია, აიღოს პასუხისმგებლობა მის გავრცელებაზე და ამასთანავე, შეძლოს ინფორმაციის ცოდნად გადაქცევა.

რა როლი აქვს მასწავლებელს კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობაში?

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების და განათლების თანამედროვე პარადიგმების თანახმად, სწავლების მიზანია მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. ეს უნარები მოსწავლეს ყველაზე უკეთ სწავლების პროცესში უვითარდება. ამიტომ, მასწავლებელი მთავარი გზამკვლევია კრიტიკული აზროვნების განვითარების გზაზე.

თანამედროვე განათლების პერსპექტივები და მომავალი დაკავშირებულია არა მხოლოდ უახლეს ტექნოლოგიებთან, არამედ ადამიანებთან, რომლებიც მას შესაბამისი მიზნებისთვის გამოიყენებენ. ჩვენ სულ უფრო ხშირად ვსაუბრობთ საინფორმაციო ერაზე, რომელმაც ადამიანისგან ახალი უნარების განვითარება მოითხოვა. მასწავლებელმა ციფრული ტექნოლოგიებიც იმისთვის უნდა გამოიყენოს, რომ კრიტიკული აზროვნების უნარი განუვითაროს მოსწავლეებს. ეს არის აზროვნების იმგვარი მართვის უნარი, როცა შეგიძლია მიზანდასახულად ფიქრი, ამოცანების გადაწყვეტა, არსებულ მონაცემთა კლასიფიკაცია, დამუშავება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

ნათია ფურცელაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

”

ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ჩვენს მოსწავლეებს. მოვუსმინოთ მათ განსხვავებულ შეხედულებებს. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რას ფიქრობენ ისინი და როგორ ფიქრობენ. მოვუსმინოთ და ბოლომდე ვათქმევინოთ თავიანთი სათქმელი. სხვა შემთხვევაში, მათ ჩვენი მოსმენა გაუჭირდებათ და აღარ გვენდობიან.

წიგნის კითხვა კრიტიკული აზროვნებისთვის

კრიტიკული აზროვნების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მის გარეშე დღეს სრულფასოვანი ცხოვრება წარმოუდგენლად მეჩვენება.

ჩემი, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, მიზანია, რომ მოსწავლეები აზროვნებდნენ კრიტიკულად, გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს და ახერხებდნენ მათ დასაბუთებას, შეეძლოთ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და პრობლემების გადაჭრა.

ვცდილობ, ბავშვებს შევაყვარო მხატვრული ლიტერატურის კითხვა, რადგან, ჩემი აზრით, სწორედ ეს გზაა არაჩვეულებრივი შესაძლებლობა იმ მიზნის მისაღწევად, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი.

თუ მოსწავლე ახერხებს წაკითხული ტექსტის გააზრებას, იგი ყალიბდება კრიტიკულად მოაზროვნე მკითხველად, იწყებს ფიქრს, აკვირდება პერსონაჟების ცხოვრებას, აანალიზებს სხვადასხვა სიტუაციას და, საბოლოოდ, როცა უკვე დამოუკიდებლად უწევს საკითხის გადაწყვეტა, კითხვისას მიღებული გამოცდილება ეხმარება.

კითხვის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს ჩემი მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას, მაგალითისთვის შემიძლია დავასახელო კითხვა ნიშანთა სისტემით და კომენტირებული კითხვა.

ჩვენი მოსწავლეები ყოველდღე კითხულობენ.

კითხულობენ გაკვეთილებს, ამოცანების პირობებს, ლექსებს, ახალ გამოცემულ თუ ძველ წიგნებს, ერთმანეთის წერილებს. ტექსტებს ხვდებიან სახლში, სკოლაში, ქუჩაში, აბრებზე, მაღაზიებში, ყველგან.

და ყველაზე მთავარი ამ დროს არის ის, თუ როგორ იგებენ, იაზრებენ და შემდეგ იყენებენ ისინი წაკითხულს. ჩვენ კი, მასწავლებლებმა, უნდა გავაცნობიეროთ, რამდენად მნიშვნელოვანია, ვასწავლოთ, როგორ იკითხონ და გამოვუმუშაოთ ტექსტის გააზრების, ინფორმაციის

დახარისხების უნარები. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თუ მოსწავლეები წაკითხულის გააზრებას ახერხებენ სკოლაში, შემდეგ უადვილდებათ სწავლა უნივერსიტეტში, საქმეს იოლად ართმევენ თავს სამსახურში, უმარტივდებათ ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრა.

როგორ ვასწავლოთ წაკითხულის გააზრება? ამისთვის ბევრი გზა არსებობს, ერთ-ერთია ყველასთვის ნაცნობი მეთოდი – კითხვა ნიშანთა სისტემით, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტის წასაკითხად ნებისმიერ საგანში, სწავლების სამივე საფეხურზე.

სასურველია, მოსწავლეებთან ერთად შევიმუშაოთ რამდენიმე სიმბოლო. მაგალითად:

გაუგებარი სიტყვა – ?

ნაცნობი ინფორმაცია – +

მნიშვნელოვანი ცნობა – ! და ა.შ.

ეს ნიშნები მკითხველებმა უნდა გამოიყენონ ტექსტზე მუშაობისას. სიმბოლოები შესაძლოა შევცვალოთ გემოვნებისა და საჭიროების მიხედვით. ინფორმაციის ამგვარად დახარისხება უფრო საინტერესოს ხდის კითხვის პროცესს და ბავშვები უკეთ იმახსოვრებენ წაკითხულს. „მთავარია, შერჩეული სიმბოლოები გვაძლევდეს საშუალებას, გავიგოთ, რა გაიგეს მოსწავლეებმა, რა – ვერ გაიგეს, რა დარჩა ბუნდოვანი, რა მოეწონათ ან არ მოეწონათ. ამგვარი მიდგომა ეხმარება მოსწავლეს ტექსტის არა მარტო უკეთ გაგებასა და სწავლაში, არამედ ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრასა და გამოხატვაში. ეს ყოველივე კი აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს მასში აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებისათვის“ (კითხვის ეფექტური მეთოდები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013, გვ. 80).

რამდენიმე თვის წინ მოსწავლეებთან ერთად, სწორედ ნიშანთა სისტემით, ერთგვარი სამკითხველო ექსპერიმენტი წამოვიწყე.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ დღესაც მოსწავლემ მითხრა, ბოლოს წიგნს როცა ვკითხულობდი, არ მომწონდა და ვაღიარებ, ფურცლებს ვტოვებდიო. ჩვეულებრივი ამბავია, არ გამკვირვებია, პირიქით, გამახარა მისმა გულწრფელობამ. წიგნით დაინტერესება არ არის მარტივი და უამრავი რამის გამოგონება გვიწევს, თუ გვინდა, რომ ბავშვებმა სიამოვნებით იკითხონ. იმ მომენტიდან დავიწყე ფიქრი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა, რომ მომდევნო წიგნი, მიუხედავად იმისა, მოეწონებოდა თუ არა, მისთვის საინტერესო ყოფილიყო არა მხოლოდ ტექსტი, არამედ კითხვის პროცესიც.

ასეთი რამ მოვიფიქრე: ბავშვებს შევთავაზე, წაგვეკითხა ისეთი წიგნი, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის იქნებოდა უცხო, აქამდე არც ერთს არ უნდა გვქონოდა წაკითხული, მოგვეფიქრებინა ნიშნები, სიმბოლოები მხოლოდ ამ ტექსტისთვის, კითხვისას ფურცლებზე გადაგვეტანა და ამგვარად გამოგვეხატა ჩვენი ემოციები, შეხედულებები. წაკითხვის შემდეგ შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გაგვეცვალა წიგნები და დავკვირვებოდით ერთმანეთის განცდებს, შთაბეჭდილებებს. ჩემი მიზანი არ იყო ჩემს მოსწავლეებს მხოლოდ მოსწონებოდათ ან არ მოსწონებოდათ წაკითხული ამბავი. მინდოდა, მიმხვდარიყვნენ, რომ წიგნი, ისევე როგორც ცხოვრება, იქმნება დეტალებით, რომლებიც უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ. მსურდა, გაეაზრებინათ ის, რასაც კითხულობდნენ, ეს კი დაკვირვების გარეშე შეუძლებელია.

ჩემი შეთავაზება, როგორც ერთგვარი გამოწვევა, მიიღო მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, სამი კლასის 60-მდე მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა არ მოინდომა ამ ექსპერიმენტში მონაწილეობა.

მეხუთეკლასელებს შევთავაზე ანე-კატარინე ვესტლის „ანტონის პატარა საჩუქარი“, რადგან პირველი სამი ნაწილი უკვე წაკითხული გვქონდა. ბავშვებმა ნიშანთა სისტემას კითხვის ენა დაარქვეს.

შევთანხმდით, რომ, გარდა საერთო სიმბოლოებისა, თუ რომელიმე ჩვენგანს მოუნდებოდა, ინდივიდუალური ნიშნებიც მოეფიქრებინა. ასე გაჩნდა საოცარი მინიშნებები, ილუსტრაციები. ბავშვების ფანტაზია ხომ უსაზღვროა.

მეშვიდეკლასელებმა წაიკითხეს სარა პენიპეკერის „პაქსი“ (პაქსის სიმბოლოები) და ლინდა მალალი ჰანთის „თევზი ხეზე“ (კითხვის ემოციები).

კითხვა ნიშანთა სისტემით ჩემთვის ნაცნობი მეთოდი იყო პროგრამული ნაწარმოებების სწავლებისას, წიგნი კი ამგვარად მოსწავლეებთან ერთად პირველად წავიკითხე. პროცესიც და შედეგებიც იმაზე სასიამოვნო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. ვცდილობდი, უყურადღებოდ არ დამეტოვებინა არც ერთი გვერდი, არც ერთი ეპიზოდი, ფრაზა, სიტყვა.

ასევე იყვნენ ბავშვებიც. მათი წაკითხული წიგნების ფურცვლამ გამაბედნიერა. რომ იცოდეთ, რამდენ რამეს ამჩნევენ, რამდენ რამეზე ფიქრობენ ეს პატარა/დიდი ადამიანები.

მათი თქმით, ხშირად წაუკითხავთ ჩქარ-ჩქარა, ზოგჯერ – უყურადღებოდ, ამ მეთოდით კითხვის დროს კი უფრო ჩაუღრმავდნენ წიგნს.

მოსწავლეებს ვთხოვე, შთაბეჭდილებები დაეწერათ. თითოეულის წერილი ერთმანეთზე საინტერესოა, ბევრ რამეზე დამაფიქრა (სამომავლოდ რომ გავითვალისწინებ) და კარგად მაჩვენა, თუ რა მოჰყვა შედეგად წიგნების კითხვას ნიშანთა სისტემით:

არანაკლებ ეფექტური აღმოჩნდა მეორე ეტაპი, როცა ერთმანეთს წაკითხული წიგნები გავუცვალეთ. ერთი მხრივ, ეს იყო ტექსტის სიღრმისეულად გააზრების კიდევ ერთი გზა და, მეორე მხრივ, თითოეული ჩვენგანის (მკითხველების) უკეთ გაცნობისა და დაახლოების საშუალება.

ვაკვირდებოდი, რას მიაქციეს ყურადღება კითხვისას ჩემმა მოსწავლეებმა, ბავშვები კი მეგობრებისა და მასწავლებლების განცდებს აკვირდებოდნენ (ჩემ გარდა წიგნი დასახელებული კლასების დამრიგებლებმა და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა წაიკითხეს). საინტერესო იყო იმის გაანალიზება, რომელი ქცევა აღმოჩნდა ჩვენთვის მიუღებელი, რომელი სიტყვები მოგვეწონა, რას გავითვალისწინებდით და სხვა ბევრი რამ.

ლიტერატურას აქვს საოცარი ძალა და ამ თავგადასავალმა ემოციურად კიდევ უფრო დაგვაკავშირა, ეს კი დღეს განსაკუთრებით გვჭირდება. როცა მასწავლებელმა იცის, რა ახარებს მოსწავლეს, ეცნობა მის გემოვნებას ან კიდევ – პირიქით, ბავშვი ხედავს, როგორ კითხულობს მისი პედაგოგი და რა აფიქრებს, მათი ურთიერთობა უფრო ჰარმონიული ხდება.

კითხვა ნიშანთა სისტემით ცნობილი მეთოდია, თუმცა მე და ჩემი მოსწავლეები მას ჩვენებურად ვცვლით – უფრო ზუსტად, თავად ვიგონებთ სიმბოლოებს კონკრეტული წიგნისთვის და ამგვარად გამოვხატავთ ჩვენს ემოციებს, ასევე კითხვის პროცესში ვწერთ იმას, რასაც ვგრძნობთ, რაზეც ვფიქრობთ. მაგალითად, მეშვიდეკლასელმა გოგონამ, როცა წაიკითხა წიგნი „თევზი ხეზე“, ასეთი მინაწერი დატოვა არშიაზე – „შეის საქციელი ჩემთვის, რა თქმა უნდა, მიუღებელია, მაგრამ ეს წიგნი ამ პერსონაჟის გარეშე ბევრს დაკარგავდა, რადგან სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება ელის“, მეორე მოსწავლემ კი, „პაქსის“ კითხვის დროს, მონიშნა შემდეგი ფრაზა: „ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მიატოვეს, და თავზარდაცემულს გულისცემა გაუხშირდა“, მიახატა სიმბოლო , რაც ნიშნავდა იმას, რომ ამ მონაკვეთის წაკითხვამ დაასევდიანა, შემდეგ კი მიაწერა: „ზოგჯერ ადამიანები ვერც კი ვხვდებით, ჩვენი ერთი ქმედებით რამხელა ტკივილს ვაყენებთ ერთმანეთს“.

მოყვანილი მაგალითები გვარწმუნებს, რამხელა ძალა აქვს წიგნების კითხვას და როგორ უწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

ლადო აფხაზავა

სამოქალაქო განათლების
მასწავლებელი

”

კრიტიკულად აზროვნება – დამოუკიდებლად აზროვნებაა. საგანმანათლებლო სივრცეში სწავლება კრიტიკული აზროვნების პრინციპებზე უნდა იდგეს. აზროვნება კრიტიკულია მაშინ, როდესაც იგი ინდივიდუალურია. მოსწავლე თავად ახორციელებს საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებას და წარდგენას. მოსწავლე თავისუფალი უნდა იყოს, რომ იფიქროს და სხვადასხვა სირთულის საკითხი დამოუკიდებლად გადაჭრას.

თავისუფლება – კრიტიკული აზროვნებისთვის

კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდები ჩვენს ქვეყანას ძალიან სჭირდება. სწორედ მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რამდენად მნიშვნელოვანია მოზარდისთვის კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება და რა მეთოდებითა და აქტივობებითაა შესაძლებელი ამის მიიღწევა.

თანამედროვე საზოგადოებას სჭირდება მოქალაქეები, რომლებიც სწორად დასვამენ კითხვებს და მიიღებენ ამომწურავ პასუხებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით მუშაობა საქართველოში დავაგვიანეთ, მაგრამ აუცილებელია, დავიწყოთ და ხარისხიანად ვიმუშაოთ.

ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფორმატში ვხვდები მოსწავლეებს და როცა კრიტიკულ აზროვნებაზე ვესაუბრები, სინანულით მიყვებიან, რომ ზოგჯერ, საგაკვეთილო თუ არაფორმალური განათლების პირობებში, კითხვების დასმის საშუალება არ ეძლევათ. ეს ძალიან საწყენია. საჭიროა, ყველამ ერთად ვიზრუნოთ ჩვენი მომავალი თაობისთვის, რომ მათ დაძლიონ და გაუმკლავდნენ გამოწვევებს. ახალგაზრდებს კრიტიკულად აზროვნების საშუალება რომ ჰქონდეთ, მათ მეტი არჩევანი და თავისუფლება უნდა მივცეთ.

კრიტიკული აზროვნების გამომუშავებისათვის მასწავლებელმა, საკლასო ოთახში, გაკვეთილზე სხვადასხვა შემთხვევა, პრობლემა თუ კონფლიქტური სიტუაცია უნდა განიხილოს და მოსწავლეებს მისცეს საშუალება, იმსჯელონ პრობლემის მოგვარების სხვადასხვა გზებზე, მიაგნონ გამოსავალს.

ერთ ამბავზე მოგიყვებით, რომელიც სწორედ ამ უნარის განვითარებისა და მისი შემდგომი განზოგადებისთვის გამოგვადგება.

ჩემს ერთ-ერთ მოსწავლეს, მოუსვენრობა დაეტყო, ვხედავდი, როგორ ესაუბრებოდა თანატოლებს და უმცროსკლასელებს. ამ პროცესს ყოველდღიურად ვაკვირდებოდი და ვეკითხებოდი, ხომ არ ჰქონდა რამე პრობლემა? ის მპასუხობდა: არაფერი, ლადო მას, მე თვითონ მოვაგვარებო. ერთი-ორჯერ მისთვის დასმულ კითხვაზე უკვე სხვებმაც მიპასუხეს: არა, ისეთი არაფერია, ჩვენ თვითონ მოვაგვარებთო. ვხვდებოდი, რომ მთელი კლასი რაღაც პრობლე-

მის მოგვარებისთვის ერთიანდებოდა. ხშირად ვხედავდი მათ ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებში, როგორ დასჩერებოდნენ მერხებს.

ერთ დღესაც დავინახე, მას და მის კლასელებს სკოლის მოსწავლეები შემოხვეოდნენ, ბავშვების რაოდენობა იზრდებოდა და იზრდებოდა. რომ მივუახლოვდი, არ ესიამოვნათ. მივხდი, სკოლის პრობლემაზე იყო საუბარი. უფრო მეტი გახსნილობისთვის, შევთავაზე მათ, დამხმარებოდნენ სკოლში ისეთი პრობლემის აღმოჩენაში, რომლის გადასაწყვეტად შევიმუშავებდით პროექტს და ერთობლივად განვახორციელებდით. მათ მითხრეს, რომ სწორედ სკოლის პრობლემის მოგვარებაზე საუბრობდნენ. შევთავაზე, მყუდრო კაბინეტი მოგვეძებნა და მშვიდად გვესაუბრა.

ის და მისი კლასელები თავისუფალი კაბინეტის ძებნას შეუდგნენ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ სიამოვნებით დაგვითმო კაბინეტი. ჩვენც დიდი წრე გავაკეთეთ და დავსხედით იატაკზე.

საუბარი ასე დაიწყო: მასწ, მე და ჩემს კლასელებს უმცროსი დები გვყავს და არ გვინდა მათ ის ნახონ, რასაც ჩვენ ვხედავთ ამ სკოლაშიო.

ვთხოვე, უფრო გასაგებად აეხსნა პრობლემა. მალევე, ჩემთვის გასაგები გახდა პრობლემის არსი – ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებში მერხებზე უცენზურო სიტყვები ყოფილა დაწერილი, ამ ყველაფერს უმცროსკლასელები აკეთებდნენ, ამიტომაც, ის და მისი მეგობრები სთხოვდნენ მათ, მსგავსი რამ აღარ გაეკეთებინათ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ასე მოგვარდება პრობლემა?

– ალბათ, არა, რადგან, რამდენჯერაც გავაფრთხილეთ, იმაზე მეტი დაწერეს, რაც იქამდე იყო.

– მაშ ასე, ხვალ ისევ შევხვდეთ. სახლში იფიქრეთ ისეთ აქტივობებზე, რომლებიც ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარება, – შევთავაზე მე.

საერთო შეხვედრა შემდეგი დღისთვის დავგეგმეთ.

მეორე დღეს სამასწავლებლოში არ მასვენებდნენ, გარეთ მიხმობდნენ და თავიანთ ნაფიქრალს მიყვებოდნენ, მაგრამ ყველას დანიშნულ შეხვედრას ვახსენებდი, რომელიც გაკვეთილების შემდეგ უნდა დაწყებულიყო.

გაკვეთილები დასრულდა და ოთახში შევედით, ბავშვებს სასწავლო ნაწილიც შემოჰყვა. ითხოვა, უბრალოდ დაგესწრებით, არ ჩავერევიო.

იმ დღეს რამდენიმე ფლიპჩარტის ქაღალდი შეივსო სხვადასხვა იდეით, პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო აქტივობების ჩამონათვალით.

პრეზენტაციებს უამრავი შეკითხვა მოჰყვა, თუმცა, შეკითხვებზე პასუხს ვერ სცემდნენ.

მაშინ ვთხოვე, შეხვედრა ერთ დღის შემდეგ დაგვენიშნა. მოსწავლეებს სურდათ, ამ შეხვედრაზევე მოგვეგვარებინა პრობლემა, მარგამ როცა ავუხსენი, რომ ჯერ პასუხები თავადაც არ ჰქონდათ და ამაზე უნდა ეფიქრათ, დამთანხმდნენ.

მესამე დღეს მოუცლელობა მოვიმიზეზე და ვუთხარი, რომ თავად უნდა ემსჯელათ ამ პრობლემის მოგვარების გზებზე.

არადა, ძალიან მსურდა მათთან ერთად ყოფნა, მაგრამ ოთახში შესვლისთანავე დავემშვიდობე და წამოვედი.

მეოთხე დღეს პროექტის სათაური და პროექტის მიზანი დამხვდა სამასწავლებლოში.

პროექტი: „მერხს ტატუ არ სჭირდება“

მიზანი: მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება სასკოლო ინვენტარის მოფრთხილების, მოვლის შესახებ და მათი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება.

სათაურიც მომწონს და მიზანიც, მაგრამ ყველაზე მნიშველოვანი ის აქტივობებია, რომლებითაც მიზნის მიღწევას შევძლებთ-მეთქი.

ორი დღის განმავლობაში ყველაზე დიდი ხმაური იმ ოთახიდან გამოდიოდა, სადაც ის და მისი კლასელები იკრიბებოდნენ.

პროექტი ჩვენს სკოლაში ყოველ წელს ხორციელდება ამავე სათაურით, მიზნებით და აქტივობებით და ძალიან წარატებულადაც. წელს ამ პროექტს 743 სკოლა შემოუერთდა.

კრიტიკული აზროვნება იბადება მაშინ, როცა არის შესაძლებლობა დასვა ბევრი შეკითხვა, მიიღო პასუხები და იგრძნო თავისუფლება. თავისუფლებას კი ყოველთვის მივყავართ შედეგამდე.

პროექტის დაგეგმვისას არასდროს ვარ მარტო, გარს მოსწავლეები მახვევია და მათ არ აქვთ შეცდომის დაშვების შიში, ისინი ამ დროს თავისუფლად გრძნობენ თავს.

დაჩი ნანობაშვილი
მათემატიკის მასწავლებელი

> ვუთხრათ ჩვენს მოსწავლეებს, რომ შეცდომების დაშვება არ არის დასასრული ან მარცხი და, რაც მთავარია, ჩვენც დავუშვათ, რომ მოსწავლეებს შეიძლება არ ჰქონდეთ სწორი და სასურველი პასუხები ჩვენს კითხვებზე. ნუ გავაკრიტიკებთ მათ, მით უფრო, ირონიულად. უმჯობესია, მათთან ერთად გავაანალიზოთ შეცდომის მიზეზები. ხშირად, შეცდომები სწორი პასუხების ჩანასახსაც შეიცავს.

გაკვეთილი კრიტიკული აზროვნებისთვის

მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარების მნიშვნელობა, უპირველესად, ჩვენი, მასწავლებლების გასააზრებელია. თანამედროვე სწავლების პარადიგმისთვის ინ-ფორმაციის მიღება/დამახსოვრება უმნიშვნელოვანესი შემეცნებითი პროცესია. თუმცა, მხო-ლოდ მექანიკური დამახსოვრება არ ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა: დამოუკიდე-ბელი აზროვნება, პრობლემის დასმა/გადაწყვეტის მცდელობა, ინფორმაციის ობიექტური შეფასება, არგუმენტირებული მსჯელობა და ასე შემდეგ. თუ მასწავლებელი თავად არ არის კრიტიკულად მოაზროვნე, მაშინ გაუჭირდება მოსწავლეებში ამ უნარების განვითარება. თუ მასწავლებელს არ შეუძლია მოსწავლის მოსაზრების (თუნდაც არასწორი) მოსმენა/გაანალი-ზება და არგუმენტირებულად იმის დასაბუთება, თუ რატომ ცდება ის, მაშინ მისი გაკვეთილი მზა ინფორმაციის გადაცემას დაემსგავსება და პასუხგაუცემელს დატოვებს ისეთ კითხვებს, რომელზე პასუხიც უმნიშვნელოვანესია მოზარდების გონებრივი და შემოქმედებითი განვი-თარებისთვის.

მოსწავლეების მაქსიმალური ჩართულობის მიზნით, მათში ინტერესის გასაღვივებლად, გაკვეთილზე მასწავლებელმა შესაძლებელია ისეთი რამ მოიმოქმედოს, რაც გარკვეულ ინ-ტრიგას გააჩენს. სწორედ ასეთი ინტერესის გაჩენას ემსახურებოდა ერთი ჩემი გაკვეთილი, როცა საკლასო ოთახში დიდი ზომის ხახვი შევიტანე.

ცხადია, იქვე გაჩნდა კითხვები – რა არის, მასწავლებელო, ეს? – რად გვინდა? – რა უნდა გავაკეთოთ? – საჭმელი ხომ არ უნდა მოვამზადოთ ?

როცა კითხვები ჩნდება და თან მოსწავლეებს წარმოდგენაც არ აქვთ, როგორ განვითარდე-ბა მოვლენები, მაშინ ეფექტი ორმაგდება.

– ხახვი რად გვინდა? რად გვინდა და აი, ასეთი ხახვის მოყვანის გეგმა უნდა შეიმუშაოთ. დღეს თქვენ ფერმერ/ბიზნესმენებად უნდა გადაიქცეთ. ვნახოთ, ვინ შეძლებს ყველაზე ბევრი ფულის გამომუშავებას.

კონკრეტულ გაკვეთილზე ჩემი მიზანი იყო, გამემყარებინა ცოდნა მართკუთხედის პერიმეტრისა და ფართობის გამოთვლასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს დაენახათ შინაარსობრივი განსხვავება ამ ორ სიდიდეს შორის. თავიდან აგვერიდებინა პერიმეტრის და ფართობის გამოსათვლელი ფორმულების მექანიკური დამახსოვრება, რის გამოც ამ ორი სიდიდის გამოთვლა მოსწავლეებს მუდმივად ერთმანეთში ერევათ.

– სამუშაოს ვასრულებთ წყვილებში.

– თქვენ გაქვთ 100 მეტრი ღობე, რომლითაც მართკუთხედის ფორმის მიწის ნაკვეთი უნდა შემოღობოთ. ნაკვეთზე უნდა დაითესოს ხახვი და მოყვანილი მოსავალი გაიყიდოს. (ბავშვებს ხახვის თესვისა და მოყვანის ამსახველ რამდენიმე ფოტოს ვაჩვენებ, რათა უფრო მეტად შევიდნენ როლში). ერთ კვადრატულ მეტრზე შესაძლებელია 3 კილოგრამი ხახვის მოყვანა, – 1 კილოგრამი ხახვის გასაყიდი ფასია 2 ლარი და 20 თეთრი.

შეჯიბრი კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს. მით უმეტეს, როცა საქმეში სარგებლის მიღების ინტერესიც ერთვება.

წყვილებს მართკუთხედის გვერდების სიგრძეები ისე უნდა შეერჩიათ, რომ ჯამი 100-ის ტოლი გამოსულიყო. ამასთან, რაც უფრო მეტი იქნებოდა ნაკვეთის ფართობი, მით მეტი იქნებოდა მათი მოსავალი/შემოსავალი.

დავალების პირობა ასეთი იყო: დამიხატეთ თქვენი მიწის ნაკვეთი, დააწერეთ სიგრძე და სიგანე. გამოიანგარიშეთ ფართობი და შემდეგ გაარკვიეთ, რამდენი კილოგრამი ხახვის მოყვანას შეძლებთ და შესაბამისად, რამდენი ლარი იქნება თქვენი შემოსავალი?

შედეგზე გასვლა შესაძლებელია ბევრი ერთმანეთის მსგავსი დავალებების შესრულებითაც, სადაც ბავშვები მექანიკურად ჩასვამენ ფორმულაში რიცხვებს. ასეთი მეთოდი მოსაბეზრებელია. შედეგი თვალსაჩინოა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. რუტინული მუშაობა მოქმედებების ავტომატურ, გაუაზრებელ შესრულებამდე დადის და რჩება რისკი, რომ, დროთა განმავლობაში, მაინც მოხდება მართკუთხედის პერიმეტრისა და ფართობის გამოსათვლელი ფორმულების ერთმანეთში არევა.

სწავლება დისკუსიის, ჯგუფებში მუშაობის, აზრთა გაცვლის, არგუმენტირებული მსჯელობის ფონზე მიმდინარეობდა, რაც მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარს ავითარებს.

– თუ დავასრულეთ, მოდით შევუდგეთ პრეზენტაციას. ყურადღებით მოვუსმინოთ და შევამოწმოთ „კონკურენტებმა“ ღობის სიგრძე დასაშვებზე მეტი ხომ არ გამოიყენეს (ანუ 100 მეტრ-

ზე მეტი ხომ არ არის ნაკვეთის პერიმეტრი)? ვაკვირდებით, ფართობის გამოთვლისას რაიმე შეცდომა ხომ არ დაუშვეს?

ამგვარი მუშაობის შედეგად ხდება შინაარსობრივი განსხვავების დანახვა. ინტერესი კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ბავშვები ამჩნევენ, რომ ღობის ერთნაირი სიგრძის მიუხედავად, სხვადასხვა შემთხვევაში, ფართობი და შესაბამისად, შემოსავალი სხვადასხვაა.

მსჯელობის, დაკვირვებისა და განხილვის შედეგად ვასკვნით, რომ საუკეთესო შემთხვევა არის ისეთი მართკუთხედი, რომლის სიგრძე და სიგანე ტოლია, ანუ კვადრატი. კვადრატიც ხომ მართკუთხედია.

მიუხედავად იმისა, რომ კლასის ნაწილმა ვერ მიიღო შემოსავლის საუკეთესო მაჩვენებელი, კრიტიკული აზროვნების ელემენტებმა – პრობლემის სათანადო გააზრებამ, გამოსავლის ძიებამ, არგუმენტირებულმა დისკუსიამ – დასახულ მიზანზე გამიყვანა. პერიმეტრსა და ფართობს შორის განსხვავება არც გვიხსენებია და მოსწავლეებმა მაინც სიღრმისეულად გაიაზრეს აღნიშნული ცნებები.

ნინო აბულაძე

ისტორიის მასწავლებელი

> მივცეთ ჩვენს მოსწავლეებს შესაძლებლობა, დაგვისვან კითხვები. თუნდაც ისეთი შეკითხვები, რომლებზეც შესაძლოა, პასუხი არ გვაქვს და ვაღიაროთ გულწრფელად, რომ არ ვიცით და რომ აუცილებლად შევეცდებით, მათთან ერთად მოვიპოვოთ პასუხები მათთვის მნიშვნელოვან კითხვებზე. ეს ჩვენი პროფესიული ზრდის ერთ-ერთი მთავარი პირობაცაა.

კრიტიკული აზროვნება სინამდვილის დადგენისთვის

სწავლა-სწავლების პროცესში აუცილებელია ისეთი აქტივობები დავგეგმოთ, რომელიც მოსწავლეებს უბიძგებს, იფიქრონ და იაზროვნონ კრიტიკულად. უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი სიხშირით დავგეგმოთ ისეთი გაკვეთილები, რომელიც მოსწავლეს განაწყობს, ისწავლოს, რა არის კრიტიკული აზროვნება, დაინახოს მისი მნიშვნელობა, გაიაზროს, რომ ერთსა და იმავე საკითხზე, სხვადასხვა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი და განსხვავებულ აზრს მან პატივი უნდა სცეს. როცა ვისმენთ საღ აზრს, დამაჯერებელი არგუმენტებით, უნდა შეგვეძლოს ჩვენი აზრის შეცვლა, სტერეოტიპების მსხვრევა, არც ის არის სირცხვილი, თუ ხმამაღლა ვაღიარებთ ჩვენს შეცდომებს და ერთობლივად დავიწყებთ იმ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრს, რომელიც შეიძლება არსებობდეს კლასში, სკოლაში, თემში, ქალაქში, სახელმწიფოში.

მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის აუცილებელია, გაკვეთილი ისე წარიმართოს, რომ მოსწავლე გახდეს საგაკვეთილო პროცესის მთავარი წარმმართველი და მასწავლებელმა მისცეს მას შესაძლებლობა, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და იმსჯელოს განსახილველ საკითხზე.

მე ისტორიის მასწავლებელი ვარ. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაკვეთილზე ისეთ საკითხებზე გვიწევს დისკუსია, რომელსაც ფიქრი, გაანალიზება და რაც მთავარია, არგუმენტებით გაჯერებული მსჯელობა სჭირდება. იმისათვის, რომ ჩემი მოსწავლეები დისკუსიისა და კამათის ხელოვნებას დაეუფლონ, შეძლონ არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოშველიება, ხშირად შემაქვს გაკვეთილზე ისეთი დამატებითი რესურსები, რომლის გამოყენება მსჯელობის შესაძლებლობას იძლევა.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს, საკითხის კრიტიკული ანალიზისას, ჩემი აზრი თავს არ მოვახვიო, ვქმნი და გაკვეთილზე ვიყენებ ისეთ რესურსებს, რომელიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად გააანალიზონ რესურსში მოცემული მასალა, გამოიტანონ დასკვნები და ამ გზით მიიღონ ახალი ცოდნა.

როცა საგაკვეთილო თემად გვქონდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და მოსწავლეებისგან მოვისმინე სხვადასხვა ურბანული მითი თუ სტერეოტიპული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, გადავწყვიტე, რომ აუცილებლად უნდა დამეგეგმა ისეთი გაკვეთილი და დამესვა ისეთი შეკითხვები, რომელიც დამეხმარებოდა არსებული სტერეოტიპების შეცვლაში.

- როგორ შეიძლება განვითარებულიყო მოვლენები, თუ არ გააფორმებდა ერეკლე ხელშეკრულებას რუსეთთან ?
- ორ ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეიძლება თუ არა, გახდეს საფრთხე ერთი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვისა?
- როგორ ფიქრობთ, გეორგიევსკის ტრაქტატში იქნებოდა თუ არა ის მუხლი, რომელიც მისცემდა რუსეთს საშუალებას საქართველოში გაეუქმებინა მეფობა ?

ვფიქრობ, ასეთი შეკითხვები მოსწავლეს გაუღვივებს ინტერესს, თავად გაეცნოს წერილობით წყაროებს. ვურიგებ მათ წერილობით წყაროებს და ვაძლევ საშუალებას, თავად გაფილტრონ ინფორმაცია და ძირითადი საკითხები ჩაინიშნონ;

წერილობით წყაროებში მოსწავლეები ვერ იპოვიან მუხლს,სადაც რუსეთის მიერ საქართველოში მეფობის გაუქმებაზე იქნება საუბარი. შემდეგ, მე მათ გასაცნობად ვაწვდი მეორე წყაროს, სადაც წერია, როგორ შეცვალა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები გიორგი XII-ემ.

ამის შემდეგ მოსწავლეებს კვალავ ვუსვამ კითხვებს:

- რა შედეგი მოუტანა საქართველოს შიდა დაპირისპირებამ ?
- ამ დამატებითი ჩანაწერის გარეშე, მოახერხებდა თუ არა რუსეთი საქართველოს ანექსიას?
- ხედავთ თუ არა თავად ქართველების მიერ დაშვებულ შეცდომებს საქართველოს ანექსიამდე?

გაკვეთილი შეჯამდება დისკუსიით – „როგორ ვიცოდი და სინამდვილეში როგორ ყოფილა“.

მანანა კაპეტივაძე

ინგლისური და რუსული ენის
მასწავლებელი

”

უნდა ვეცადოთ, რომ თითოეული საკითხი, რომელიც უნდა ვასწავლოთ, არ განვიხილოთ ორ ფერში. მხოლოდ კარგი და ცუდი, მტერი ან მოყვარე. სწორი გზის და სწორი არჩევანის გაკეთებაში მსჯელობა დაგვეხმარება. მსჯელობა არგუმენტებით და კონტრარგუმენტებით, რაც შემდგომში ძალიან გაუადვილებთ მათ, გაარკვიონ , რამდენად სწორ გზას ადგანან. ვეცადოთ, ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე ვიყოთ მათთვის ადამიანი-კომპასები.

აქტივობები კრიტიკული აზროვნებისთვის

ნებისმიერი ადამიანისთვის, მით უმეტეს მასწავლებლისთვის, კრიტიკული აზროვნების უნარის ქონა აუცილებელია, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნეში, სადაც უამრავი ინფორმაცია შემოედინება და გაედინება. ჩვენ გვიწევს მისი გადამუშავება და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება. ამ კორიანტელში უნდა გავზარდოთ ისეთი მოსწავლეები, რომლებიც შეძლებენ სწრაფ ორიენტაციას, უსარგებლო ინფორმაციის გაცხრილვას, გაანალიზებას, მის სწორ შეფასებას და დასკვნის გამოტანას.

კრიტიკული აზროვნება არ არის თანდაყოლილი უნარი, მას განვითარება სჭირდება. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მოსწავლეებს აზროვნების მაღალი დონის მიღწევაში. ესაა ჩვენი დანიშნულება და არა ის, რომ მხოლოდ ფაქტები ვაზეპირებინოთ. ჩვენ უნდა გავზარდოთ დამოუკიდებლად და ჯანსაღად მოაზროვნე თაობა, რომელსაც ექნება უნარი და მოტივაცია, ჰქონდეს სწრაფვა მრავალმხრივი ცოდნის მუდმივი განვითარებისკენ, შეძლოს საკუთარი აზრის გამოხატვა და დასაბუთება, განსხვავებული აზრის მოსმენა და გაგება, იყოს ღია სიახლეებისადმი და შეძლოს მსჯელობა სიღრმისეულად და არგუმენტირებულად.

მინდა მოვიყვანო, განათლების მიმართულებით დიდი ბრიტანეთის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჩარლზ კლარკის ციტატა, რომელიც ზუსტად პასუხობს ამ კითხვას: „მთავარი უნარი, რომელსაც განათლება გვაძლევს, კრიტიკული აზროვნებაა. ეპოქაში, სადაც ინფორმაცია და ცოდნა საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, განსხვავებას ქმნის შესაძლებლობა – გავიგოთ, შევაფასოთ და გავაანალიზოთ. ზუსტად ესაა კრიტიკული აზროვნების უნარი“.

კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის ჩემს მოსწავლეებს ყოველთვის ვასწავლი, რომ ისინი უნდა იყვნენ გულწრფელნი საკუთარ თავთან, შეძლონ თავიანთი შეცდომების დანახვა და აღიარება. ამავდროულად, უნდა იყვნენ ცნობისმოყვარენი და ჰქონდეთ მოთმინების უნარი, ბოლომდე მოუსმინონ მოსაუბრეს; დასმულ კითხვაზე პასუხი დაფიქრების შემდეგ გასცენ, შეეძლოთ ნათქვამის თუ წაკითხულის გააზრება-გაანალიზება.

გაკვეთილებს ყოველთვის ვიწყებ გონებრივი იერიშით (Brainstorming), და ძირითადად ვიყენებ ღია დაბოლოებიან კითხვებს, რომლებიც იწყება სიტყვებით: What, Who, Where, When, Why, How? და რომლებიც მოსწავლეს აძლევს საშუალებას, დაფიქრდეს, გააანალიზოს და ისე გასცეს პასუხი.

კითხვითი უნარების განვითარებისთვის ტექსტს/მოთხრობას არ ვკითხულობთ ბოლომდე და მოსწავლეებს ვთხოვ, თავად მოიფიქრონ მისი დასასრული ან თავად რომ აღმოჩნდნენ მთავარი გმირის ადგილზე, როგორ მოიქცეოდნენ ამა თუ იმ სიტუაციაში. ("Finish me" Stories) ასეთი აქტივობა მათ საშუალებას აძლევს, იაზროვნონ კრიტიკულად და შემოქმედებითად, მოთხრობებს დასასრული მოუფიქრონ, გრამატიკულად სწორი და გამართული წინადადებები გამოიყენონ. წერის შემთხვევაში მართლწერას და პუნქტუაციას მიაქციონ ყურადღება.

შემდეგი აქტივობა, რომელსაც ხშირად ვიყენებ და რომელიც ავითარებს მსჯელობის უნარ-ჩვევებს, არის "Facts or Opinions". მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ მოყვანილი მაგალითი უნდა განიხილონ როგორც ფაქტი ან მოსაზრება და იფიქრონ, როგორ დაამტკიცონ ერთი ან მეორე.

ძალიან უყვართ ჩემს მოსწავლეებს აქტივობა "My Coat Of Arms" . ჩვენ ეს აქტივობა ინგლისურ ენას მოვარგეთ, სადაც ბავშვებმა თავად შექმნეს თავიანთი გერბი და გაგვიზიარეს, თუ როგორ ამინდს, რომელ ცხოველს, მცენარეს შეადარებდნენ თავს, რომელი შენობა იყო მათთვის ყველაზე ახლო და თბილი და რომელი ციტატაა მათი ცხოვრების დევიზი.

ასევე აქტივობა „Fakebook"—სადაც მოსწავლეები ქმნიან ისტორიული პერსონაჟების Facebook გვერდს, თავისი პოსტებით, ქავერით და ისტორიული პერსონაჟის „მეგობრებით". ძალიან შემოქმედებითი და სახალისო პროცესია ასეთი გზავნილების შექმნა მოსწავლეებისთვის.

კიდევ ერთი აქტივობა, რომელიც კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწობს ხელს, გახლავთ Fishbowl Discussion. მისი ტექნიკა ეფუძნება სოკრატულ მიდგომებს და გამოიყენება დიდ ჯგუფებში დისკუსიის სწორი ფასილიტაციის წარმართვის მიზნით. Fishbowl-ის გამოყენების დროს მოსწავლეები აქტივობით გათვალისწინებულ წესებს იცავენ — სხდებიან წრეში, ერთმანეთის პირისპირ (4-5 ბავშვი), დანარჩენები კი მათ უკან, გარე წრეში. როცა ერთ-ერთი მოსაუბრე საუბარს დაასრულებს, გარე წრიდან ნებისმიერი, ვისაც სურს აზრის გამოხატვა, მხარზე ადებს ხელს მოსწავლეს, რომელმაც სათქმელი უკვე დაასრულა, ისიც უხმოდ დგება და ადგილს უთმობს მოსწავლეს გარე წრიდან. ერთმანეთის აზრს უსმენენ ბოლომდე, როცა ერთი ამთავრებს სათქმელს, მეორე მოსწავლე თავის მოსაზრებას ამის შემდეგ გამოთქვამს. პროცე-

სი მიმდინარეობს ხმამაღალი კამათის და ხმაურის გარეშე, ყველა აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას და არ ახდენს მეორეზე „ზეწოლას“ – პატივს სცემენს ერთმანეთის არჩევანს და აზრს.

Fishbowl-ის ზოგადი იდეაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს დისკუსიაში ხმაურისა და ხმამაღალი კამათის გარეშე.

Fishbowl დისკუსიებში მონაწილეობა მოსწავლეს ეხმარება:

- კონკრეტული ცოდნის დემონსტრირებაში;
- მოსწავლეები ლოგიკურად აყალიბებენ საკუთარ არგუმენტებს;
- იზიარებენ, იღებენ და ხსნიან სხვის მიერ მოწოდებულ მოსაზრებებს;
- აფასებენ და მსჯელობენ სხვის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს;
- უმჯობესდება ტექსტის ინტერპრეტაციის ზეპირად გადმოცემის უნარი.

და რაც მთავარია, აქტივობა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

თემურ სუყაშვილი
სამოქალაქო განათლების, გეოგრაფიის და ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი

„კრიტიკული აზროვნების განვითარება მასწავლებლის მრავალმხრივი საქმიანობის მხოლოდ ნაწილია. ამიტომ, ხშირად ვესაუბროთ ჩვენს კოლეგებს, სკოლის ადმინისტრაციას, მშობლებს და მოსწავლეებს იმაზე, თუ რატომ ცვლის კრიტიკული აზროვნება სამყაროს უკეთესობისკენ. საზოგადოების განვითარებაც შეკითხვების დასმასა და ამ შეკითხვებზე პასუხების პოვნის შედეგია. ცოდნა აღძრავს მოტივაციას, რომლის გარეშე კრიტიკულად აზროვნება შეუძლებელია.

კრიტიკული აზროვნება პრაქტიკაში

ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება, რაც თანამედროვე ეპოქაში სკოლას აკისრია, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდაა. სიტყვა „მოქალაქე“ შემთხვევით არ დამიწერია. დღევანდელი საზოგადოების შეგნებული წევრის უმთავრესი მახასიათებელი სწორედ კრიტიკული აზროვნება უნდა იყოს. ამის გარეშე წარმოუდგენელია გაცნობიერებული არჩევანის გაკეთება.

შესაძლებელია თუ არა კრიტიკული აზროვნების სწავლება? რასაკვირველია. მეტიც: არაფრის სწავლება არ არის იმდენად სასარგებლო, როგორც ამ კომპეტენციის. სწავლების ეფექტურად წარმართვისთვის საჭირო მრავალ ფაქტორთაგან, მინდა გამოვყო სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი:

- **უსაფრთხო სასწავლო გარემო**, რომელშიც მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ ნებისმიერ მოსაზრებას და, რაც მთავარია, ამ განსხვავებულ მოსაზრებებს მშვიდად იღებენ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იღებენ უაპელაციოდ, განხილვის გარეშე. პირიქით: გასაკრიტიკებელს (აქ ამ სიტყვას მისი ვიწრო მნიშვნელობით ვიყენებ. აკრიტიკებენ, მისაღებს იღებენ, ხოლო დასაკორექტირებელს აკორექტირებენ. ამ ყველაფრის წარმმართველი, მაორგანიზებელი, მაგალითის მიმცემი, მასწავლებელი უნდა იყოს.
- **შეკითხვების დასმა** ის უმნიშვნელოვანესი კაუჭია, რომელზეც ორიგინალურად შეიძლება აიგოს მთელი სასწავლო პროცესი. შეკითხვის მოფიქრება არ არის ადვილი. ამაზე მასწავლებელს საკმაო ფიქრი და გამოცდილება სჭირდება. ამასთან, შეკითხვების დასმა შემოქმედებითი პროცესია, რაც გულისხმობს, სპონტანურად დაბადებული შეკითხვებისთვის ასპარეზის მიცემას, მათზე მსჯელობას...
- **არაფორმალური განათლების** მიმართულება, თანამედროვე ეპოქაში, დღითი დღე პოპულარული ხდება, მას რამდენიმე უპირატესობა გააჩნია. მაგალითად: არ ითვალისწინებს სხვადასხვა შემზღუდავი წესების არსებობას, ასეთ გარემოში აქვს მეტი თავისუფლება

და არჩევანის საშუალება. ამასთან ერთად, აღნიშნული მოდელი, ორიენტირებულია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისაკენ.

ერთი აქტივობა გაკვეთილიდან

სამოქალაქო განათლების სწავლებისას ვცდილობ, მოსწავლეებს შევახსენო ის ღირებულებები და ფასეულობები, რომლებიც საერთოა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისთვის და არა მარტო. იმისთვის, რომ ეს წარმოდგენა გამემყარებინა, გადავწყვიტე, ეს აქტივობა საკლასო ოთახში გამეცოცხლებინა: „ღირებულებებითა და ფასეულობებით ვაჭრობა“

I ფაზა – ბარათებზე ჩამოვწერე ღირებულებები და ფასეულობები და მათში შევურიე უარყოფითი და ნეგატიური თვისებებიც. კლასი გავყავი ხუთ ჯგუფად და შემთხვევითი პრინციპით დავურიგე ბარათები. ჩემი მიზანი იყო მათი პროვოცირება, რათა დაეწყოთ მსჯელობა და აქტიურად ჩართულიყვნენ პროცესში.

II ფაზა – ბარათების გაცნობის შემდეგ, მათ ვუთხარი, რომ ვარ ბანკირი და მსურს, შევიძინო რაც შეიძლება მეტი ბარათი. მათ მივეცი დრო, რათა შეთანხმებულიყვნენ, რომელ თვისებას ან ღირებულებას გამოიტანდნენ გასაყიდად.

III ფაზა – ისინი გადაწყვეტილებას იღებდნენ ჯგუფებში. ვაკვირდებოდი პროცესს, რომელიც ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელ ბარათს გაყიდდნენ და რომელს შეინახავდნენ, უნდა მიეღოთ ერთხმად, ამიტომ მათ უწევდათ ერთმანეთის გადაწყვეტილების შეფასება. სწორედ აქ გამოვლინდა კრიტიკული აზროვნების მნიშვნელოვანი ელემენტები. ძირითადად მათ მიიღეს სწორი გადაწყვეტილებები და გაყიდეს უარყოფითი ფასეულობები. თუმცა, იყო გამონაკლისი შემთხვევებიც: მაგალითად, ერთმა ჯგუფმა გაყიდა თანასწორობა და ტრადიციების პატივისცემა, რაც სხვა ჯგუფებმა გამოასწორეს და „შეისყიდეს“.

IV ფაზა – ჯგუფებში შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მე მათგან „შევისყიდე“ ბარათები და გამოვაკარი დაფაზე. ჯგუფებს მივმართე შეკითხვით: ხომ არ არის ისეთი ღირებულება ან ფასეულობა დაფაზე, რომლის უკან დაბრუნებას ისურვებდით? ამ დროს ჯგუფებს მივეცი შესაძლებლობა, შეეფასებინათ ერთმანეთის გადაწყვეტილება. ჩემი ყურადღება მიიქცია ორმა ჯგუფმა. ისინი თვლიდნენ, რომ სულაც არ იყო საჭირო მოძველებული ტრადიციებისადმი პატივისცემის გამოხატვა. ასევე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სიკეთემ. ჯგუფის ზოგიერთი წევრი თვლიდა, რომ სულაც არ იყო საჭირო ყველას მიმართ სიკეთის გამოჩენა. მათი არგუმენტი იყო, – სიკეთით უნდა მიუგო მათ, ვინც ამას იმსახურებს.

ფასეულობები, რომლებიც შეინახეს		გაყიდული თვისება
გამარჯვებისადმი სწრაფვა	თავმდაბლობა	უნდობლობა
აქტიურობა	სამართლიანობა	გულგრილობა
ტრადიციების პატივისცემა	თანასწორობა	სიძულვილი
ოჯახი	სისუფთავე	უსწავლელობა
მეგობრობა	ეკოლოგია	სიამაყე
ჯანსაღი ცხოვრების წესი	განათლება	ბოროტება
მრავალფეროვნება	განვითარება	თავხედობა
სიყვარული	მშობლების პატივისცემა	სიმდიდრე
პატრიოტიზმი	მასწავლებლები	მარტოობა
სიკეთე	რელიგია	სხვაზე დამოკიდებულება
ტოლერანტობა		მექრთამეობა
		დაუმორჩილებლობა

V ფაზა – შეჯამების ეტაპზე დაფის მეორე მხარეს გამოვაკარით ბარათები, რომლებიც არ გაყიდეს მიუხედავად „გამდიდრების კარგი შესაძლებლობისა“. დავიწყეთ მსჯელობა, თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეს გადაწყვეტილების მიღებისას. ისინი ასევე აფასებდნენ სხვადასხვა ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მსჯელობის დროს, პროცესის მონაწილეებმა აღმოაჩინეს, რომ არსებობს ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც არ შეიძლება გაიყიდოს!

ვფიქრობ, ამ გზით შევძელით, გაგვეცნობიერებინა, რომ ღირებულებების და ფასეულობების გაყიდვა არ არის სასურველი, მით უფრო, თუ ამით სხვები ცუდად ისარგებლებენ.

აქტივობის მიმდინარეობისას დაისვა საკვანძო კითხვა: დაასახელეთ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი, რომლისთვისაც მიუღებელია მათ მიერ დადებითად მიჩნეული ღირებულებები და ფასეულობები?

ამ კითხვაზე სწრაფად ვერ მიპასუხეს. ფიქრისთვის დრო დასჭირდათ. საბოლოოდ, მივედით დასკვნამდე, რომ ღირებულებები და ფასეულობები აერთიანებთ ადამიანებს და არა კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფებს.

ამ აქტივობით ხელი შევუწყვე როგორც კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ასევე მათში დამკვიდრებული სტერეოტიპების მსხვრევას.

ნადია დაბრუნდაშვილი
მათემატიკის მასწავლებელი

„კრიტიკული აზროვნების სწავლება, პასუხიმგებლობის განვითარებასაც გულისხმობს. ინფორმაცია და ინ-ფორმირებულობა კრიტიკული აზ-როვნების ათვლის სათავეა და არა საბოლოო წერტილი. მსჯელობის პროცესში მოსწავლეები ივითარებენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარს. არ ეძებენ „დამნაშავეს“ გარეთ და უღრმავდებიან საკუთარ თავს. იციან წყაროების მნიშვნელობის შესახებ და იცვლიან პოზიციებს, როცა ამის-თვის საკმარისი მიზეზი ან მტკიცებუ-ლება გააჩნიათ. კრიტიკულად მოაზ-როვნე ადამიანის მანიპულირება შეუძლებელია.

როდის იწყება საკითხის კრიტიკულად გააზრება

მოსწავლეები კრიტიკულად აზროვნებენ, როცა კონკრეტული პრობლემის შესწავლას საჭირო კითხვების დასმას და მათზე პასუხების მოძიებას იწყებენ.

მათემატიკური ამოცანების ამოხსნა, კონკრეტული მათემატიკური პრობლემების გადაჭრაა და მათი ამოხსნა კრიტიკული აზროვნების გარეშე, უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება, თუ არ განვიხილავთ იმ შემთხვევებს, როდესაც მოსწავლე ერთი და იგივე ფორმულის გამოყენებას ცვლადების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის ახდენს და თითქმის მექანიკურად ითვლის შედეგებს.

აქტუალური პრობლემის გადასაწყვეტად ან ამოცანის ამოხსნის გზების ძიებისას მოსწავლეებს ვთხოვ, გამოთქვან მოსაზრებები, ვისმენთ განსხვავებულ ვერსიებს. ეს ვერსიები სხვადასხვაგვარია და კამათის პროცესში მოსწავლეები არიან საინტერესოები და განსხვავებულები. თითოეულ მოსაზრებას ვინიშნავთ და შემდეგ ვიწყებთ მათ განხილვას. მეორე ეტაპზე მოსწავლეები უკვე კრიტიკულები ხდებიან, ისინი გამორიცხავენ იმ იდეებს, რომელთა განხილვა კონკრეტულ სიტუაციაში არ იქნება რელევანტური. მნიშვნელოვანია, თითოეულ საკითხზე მსჯელობისას, მათი მხრიდან იმის განსაზღვრა, მოცემული იდეა თუ ვარაუდი ამოცანის ამოხსნისთვის სწორი გზაა თუ პირიქით. ამ დროს მოსწავლეებს უვითარდებათ დებატებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, ვარაუდების ეჭვქვეშ დაყენების ან განმამტკიცებელი დებულებების ძიების და შეფასების უნარი. კრიტიკული განხილვის შედეგად შეირჩევა ამოცანის ამოხსნის ოპტიმალური გზა, შეირჩევა საჭირო მეთოდი. გავდივართ იგივე პროცესს: რატომ ეს მეთოდი და არა სხვა? ბოლოს, მოსწავლეები ხსნიან ამოცანას მათ მიერ შერჩეული მეთოდით, აქ ძირითადად უკვე ნაცნობი საკითხებია, უკვე დაგროვილ ცოდნაზე დაყრდნობით გამოთვლების ჩატარებაა, წინა პროცესების მსგავსად მონაწილეობას თითქმის ყველა მოსწავლე იღებს, მათი ცოდნის და შესაძლებლობების მიხედვით.

ამა თუ იმ ამოცანის ამოხსნა პრობლემის გადაჭრაა, პრობლემის არსის განსაზღვრა, გზების და მეთოდების სწორად გამოყენება – რატომ ასე და არა ისე? რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია

არსებული მონაცემების გათვალისწინება, რა ვიცით და რის პოვნა შეგვიძლია. ძირითადად, მონაცემები განაპირობებენ ამა თუ იმ მეთოდის შერჩევასაც.

ხშირად მქონია შემთხვევა, როდესაც მოსწავლე მომმართავს მისთვის გაუგებარი საკითხით და ვიწყებთ დაფასთან მის გარკვევას. როცა მოსწავლე ჩამოაყალიბებს პრობლემის არსს (არ არის აუცილებელი ზეპირად იცოდეს ამოცანის პირობა, შეუძლია წიგნის გამოყენება, თუმცა, უნდა შეძლოს ამოცანის არსის გააზრებულად გადმოცემა) და გაიაზრებს ამოცანის პირობას, მონაცემებს, ხდება „გაცისკროვნება“ – „ევრიკა!“, ამას „დაფის ეფექტს“ ვუწოდებ ხოლმე, „ჯადოსნურ დაფასთან“ მოსწავლე ცდილობს და რეალურად ახდენს პრობლემის არსის გააზრებას და მისთვის შედარებით იოლია ამოცანის ამოხსნის გზის მიგნება.

ამოცანების ამოხსნის შემდეგ მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ე.წ. „რთული ამოცანები“ სულაც არ ყოფილან რთულები და ისინი ხდებიან უფრო თავდაჯერებულები, ბევრად უფრო შემოქმედებითნი ამოხსნის გზების ძიებისას, ხდებიან კრიტიკულები და ახერხებენ ამოცანების ამოხსნისათვის საჭირო ოპტიმალური მეთოდის შერჩევას, შემდეგ კი პასუხის ანუ ამონახსნის მიგნებას.

პრაქტიკული, ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრისას ან ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეთა გონება უფრო ეფექტურად მუშაობს და დამოუკიდებლად ახერხებენ იმ ამოცანის ამოხსნას თუ პრობლემაში გარკვევას, რასაც საკლასო ოთახში ხშირად მასწავლებლის ჩარევა და დახმარება სჭირდება. კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს ხშირად მივცემთ იმის საშუალებას, რომ მათ რეალური, ცხოვრებისეული საკითხები გადაწყვიტონ. სწორედ ამ დროს ხდება კრიტიკული აზროვნების განვითარება, ამაში კი მოსწავლეს საკლასო ოთახში მიღებული ცოდნა ეხმარება.

მაგალითად, X კლასში, თემაზე – სამკუთხედების ამოხსნა – მოსწავლეთა ჯგუფებს დავალებად მივეცი მიუწვდომელ ადგილებამდე მანძილის განსაზღვრა, ამოხსნის გზები და მეთოდები თავად მოსწავლეებმა შეარჩიეს, მონაცემთა შეგროვებაც თვითონვე შეძლეს, მოსწავლეებმა ჯგუფებში იმუშავეს, გაიგეს შენობების თუ ადგილების სიმაღლეები და შემდეგ ეს სიმაღლეები რეალურ სიმაღლეებს შეადარეს. როცა აღმოაჩინეს, რომ ცდომილება ძალიან მცირე იყო, სხვა დავალებებზე მეტი ხალისით და მონდომებით გააგრძელეს მუშაობა.

მოსწავლეთათვის საპროგრამო საკითხებზე მუშაობა მოსაწყენი რომ არ იყოს, მათ ვთავაზობ მათემატიკურ სოფიზმებს და თავსატეხებს. პასუხების მოძიება მათთვის საკმაოდ აზარტულია და კლასის ყველა მოსწავლე აქტიურად ერთვება ამოცანის ამოხსნის გზების ძიებაში.

სოფიზმი არის ფორმალურად სწორი მსჯელობა, რომლის შედეგადაც მიიღება არსებითად მცდარი დასკვნა, რომელიც ემყარება ცნებათა ორაზროვნებას და ამოსავალ დებულებათა განზრახ უმართებულოდ შერჩევას. სოფიზმებში დაშვებული შეცდომების პოვნა, მოსწავლისგან ითხოვს საგნობრივ ცოდნას, მსჯელობის თითოეული ეტაპის კრიტიკულად გააზრებას და შეფასებას:

შემოგთავაზებთ რამდენიმე მათემატიკურ სოფიზმს, რომლებსაც მოსწავლეებს საკლასო დავალებად ვაძლევ:

მათ უნდა აღმოაჩინონ დაშვებული შეცდომები:

1) 35+10-45=42+12-54.
5(7+2-9)=6(7+2-9).
5=6 ?!

2) 4:4=5:5.
4x(1:1)=5x(1:1)
(2x2)x(1:1)=5x(1:1)
რადგან 1:1=1, ამიტომ
2x2=5 ?!

3) (5-4)x(5-4)=(5-4)x1
5x5-5x4-4x5+4x4=5x1-4x1
5x5-5x4-5x1=4x5-4x4-4x1
5x(5-4-1)=4x(5-4-1)
5=4 ?!

4) როგორ ახსნით იმას, რომ ერთნაირი ფორმის ფიგურები, სხვადასხვანაირად დალაგების შედეგად, სხვადასხვა ფართობის მქონე ფიგურებს გვაძლევენ?



ასევე, ვთავაზობ სხვადასხვა სახის მარტივ თავსატეხს, რომელიც მოსწავლეებში დიდ დაინ-ტერესებას იწვევს:

5) მოცემული 9 წერტილი ხელის აუღებლად შეაერთეთ 4 მონაკვეთით:



6) მოცემული 9 წერტილი ხელის აუღებლად ერთმანეთთან შეაერთეთ 3 მონაკვეთით:



ამ ტიპის დავალებები მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს, ისინი ხალისით იწყებენ ფიქრს, ეძებენ ამოცანის ამოხსნის გზებს და მათი საშუალებით ივითარებენ პრობლემის გადაჭრის და ზოგადად, კრიტიკული აზროვნების უნარს.

ელისო აბრამიშვილი
ქიმიის მასწავლებელი

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს მუდმივ ძიებას, წიგნებსა თუ ინტერნეტ სივრცეში წაკითხულ თუ გაგონილ რჩევებში შესაბამისის ამორჩევისა და გამოყენების უნარს, მზა მოდელების ცვლილებას კერძო და კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. კრიტიკული აზროვნების უნარი ეხმარება მოსწავლეს, სწავლა გაიაზროს არა როგორც მომაბეზრებელი რუტინა, არამედ როგორც სამყაროსა და საკუთარი თავის დაუსრულებელი, აღმოჩენებით სავსე შემეცნების პროცესი.

კრიტიკული აზროვნება ქიმიის გაკვეთილზე

თანამედროვე მასწავლებელი, ცხადია, ფიქრობს იმაზე, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი, იყოს კრიტიკულად მოაზროვნე? თუ სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს გავეცნობით, ამ კითხვაზე პასუხი მარტივია. კრიტიკულად მოაზროვნე მასწავლებელი გაკვეთილზე ყოველთვის განსაზღვრავს მოსწავლეთა წინაშე არსებულ პრობლემებს და ასწავლის მათ, დამოუკიდებლად როგორ გადაჭრან ეს პრობლემები. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა მოთმინება, მოსმენა, სხვისი მოსაზრების განხილვა, არგუმენტირებული მსჯელობა და ცდილობს, სასწავლო პროცესი რაც შეიძლება მეტად დაუახლოოს რეალურ ცხოვრებას.

კრიტიკულად მოაზროვნე მასწავლებელი სასწავლო პროცესში გეზის, მიმართულების მიმცემია. ის ფასილიტატორის, მეგზურის როლს ასრულებს. მისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა საჭიროებები და მათზე მორგებული ინტერაქტიური თანამედროვე მეთოდები, რომლებიც საშუალებას აძლევს, აღზარდოს საკუთარი იდეებისა და ენერგიის კეთილი მიზნებისაკენ მიმართვის უნარის მქონე ადამიანები, რომელთა ცხოვრების წესი ქვეყანას უკეთესობისკენ შეცვლის, რაც ასევე დაკავშირებულია კითხვების სწორად დასმასთან, მსჯელობასთან, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრასთან.

მინდა ერთი გაკვეთილის შესახებ გესაუბროთ, რომელიც დღეს ერთ-ერთ რთულ პრობლემას – პოლიეთილენს და მასთან დაკავშირებულ მითებს და სინამდვილეს ეხება.

პოლიეთილენი – უკვდავი ნაგავი

გარკვეულ ლიტერატურულ წყაროებში ვკითხულობთ: „ეკოლოგების მოკვლევით, ადამიანი გარემოს ყველაზე მეტად პოლიეთილენის ნაწარმით აბინძურებს. პოლიეთილენის პარკი თავისი ქიმიური შემადგენლობის გამო 400-1000 წელზე მეტხანს რჩება, რადგან არ არის ბიოდეგრადირებადი და რთულად იშლება. რთულია მისი რეციკლირება, ცელოფნის პარკების დაახლოებით

96% არ ექვემდებარება მეორედ გამოყენებას. დაშლის დროს (თუკი ასეთი ხდება) აბინძურებს ნიადაგს და მიწისქვეშა წყლებს ტოქსიკური ნივთიერებებით და აღწევს კვებით ჯაჭვში. მისი წარმოება მნიშვნელოვან თანხებთან და რესურსებთან არის დაკავშირებული, თუმცა, გამოწვეული ზიანი გაცილებით დიდია. წარმოების პროცესში გამონაბოლქვი აბინძურებს ჰაერს. ცელოფნის პარკები რეალურ საფრთხეს უქმნის ცოცხალ ბუნებას, ადვილად გადაიტანება ქარის მიერ ტყეებში, ზღვებში, ოკეანეებში, მდინარეებსა და ტბებში. დაახლოებით 1 მილიარდი ზღვის ფრინველი და ძუძუმწოვარი იღუპება წელიწადში პოლიეთილენის პარკების გადაყლაპვის გამო".

განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი ამონარიდი და კრიტიკული თვალით შევხედოთ. კრიტიკაში ვიგულიხმოთ პოლიეთილენის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებების შეფასება.

პირველი ფრაზა გვაუწყებს, რომ პოლიეთილენი ყველაზე დიდი დამაბინძურებელი მასალაა. შემდგომი ფრაზით კი ირკვევა, რომ პოლიეთილენი საკმაოდ მდგრადია, მისი ქიმიური აღნაგობიდან გამომდინარე არ იშლება ადვილად, არ შედის რეაქციაში უამრავ ნივთიერებასთან. აქედან გამომდინარე, იგი ინერტული მასალაა. ინერტული მასალა კი თვისობრივად ვერ იქნება ყველაზე დიდი დამაბინძურებელი. სამყაროში უამრავი ტოქსიკური ნაერთია, რომელიც წყალში ხსნად ფორმებს წარმოქმნის და უხილავი გზებით (მდინარეები, გრუნტის წყლები და ა.შ.) შეუძლია დროის უფრო მცირე ინტერვალში დიდი არეალის მოცვა. ცხადია, გრუნტში მიმოფანტული პოლიეთილენის მასალები აბინძურებს გარემოს, მაგრამ განსაზღვრება, რომ იგი ყველაზე დიდი დამაბინძურებელია, ძალიან გადამეტებულია.

შემდეგი ფრაზაც – „რთულია მისი რეციკლირება, ცელოფნის პარკების დაახლოებით 96% არ ექვემდებარება მეორედ გამოყენებას. დაშლის დროს (თუკი ასეთი ხდება) აბინძურებს ნიადაგს და მიწისქვეშა წყლებს ტოქსიკური ნივთიერებებით და აღწევს კვებით ჯაჭვში". – საფუძვლიან ანალიზს საჭიროებს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ერთმანეთში ცელოფანი და პოლიეთილენი სხვადასხვაა. ორივე პოლიმერია, მაგრამ პირველ მათგანში მონომერულ რგოლებს ნახშირწყალი წარმოადგენს, მიიღება ცელულოზისაგან და შესაბამისად, ადვილად ემორჩილება დეგრადაციას (არა მარტო ბიოდეგრადაციას). ამიტომ, პარკები ცელოფნისაგან უკვე დიდი ხანია აღარ იწარმოება. პოლიეთილენის პარკებს დღეს არასწორად ვეძახით „ცელოფნის პარკს". რაც შეეხება ფაქტს, რომ მისი დიდი ნაწილი გადამუშავებას არ ექვემდებარება, სწორია. არ ექვემდებარება არა იმიტომ, რომ ტექნოლოგიურად ეს შეუძლებელია, არამედ არ ხდება მისი შეგროვება.

გავაგრძელოთ ზემოთ მოყვანილი ამონარიდის ანალიზი. პოლიეთილენი დაშლის შედეგად გამოათავისუფლებს მის შემადგენელ მონომერულ რგოლებს, ანუ ეთილენს. ეთილენი გაზია. არ იხსნება წყალში და შესაბამისად, მაშინვე ტოვებს ნიადაგს. ამდენად, იგი (დაშლილი პოლიეთილენი)

ვერ იქნება ნიადაგის დამაბინძურებელი. მით უფრო, ვერ მოხვდება კვებით ჯაჭვში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეთილენს მცენარეები თავად გამოყოფენ მწიფობის დროს ნაყოფის დასამწიფებლად.

გავაგრძელოთ განხილვა „მისი წარმოება მნიშვნელოვან თანხებთან და რესურსებთან არის დაკავშირებული, თუმცა გამოწვეული ზიანი გაცილებით დიდია“.

პოლიეთილენი ერთ-ერთი შედარებით იაფი მასალაა ქიმიურ ტექნოლოგიაში. სწორედ ეს განაპირობებს მის ფართო და ზედმეტად ხელგაშლილ გამოყენებას.

„წარმოების პროცესში გამონაბოლქვი აბინძურებს ჰაერს“. – ნებისმიერი სახის წარმოება მოითხოვს ენერგეტიკულ დანახარჯებს. ბიოდეგრადირებადი მასალების წარმოების დროსაც წარმოიქმნება ნახშირბადის დიოქსიდი. ცემენტისა და მინის წარმოებაში უფრო მეტი რაოდენობით გენერირდება „სათბურის ეფექტის“ გამომწვევი გაზები. ცხადია, ამის გამო ტექნოლოგიის განვითარებაზე უარს ვერ ვიტყვით. პოლიეთილენისგან უამრავი პროდუქცია მზადდება, რომელშიც მას კონკურენტი ხშირად არ ჰყავს.

დავალება 1. ჩამოთვალეთ პოლითილენისაგან დამზადებული ნივთები, მოიფიქრეთ მათი ალტერნატიული მასალა. გააკეთეთ მოკლე ანალიზი

პოლიეთილენის ნაკეთობა, პროდუქცია	ალტერნატიული მასალა	კომენტარი
წყალგაყვანილობის მილი	ლითონი	პოლიეთილენის მილების შედუღება მარტივია, არ განიცდის კოროზიას, იაფია
–	–	–

დავალება 2. აწონეთ სუპერმარკეტების ქსელში არსებული პოლიეთილენისა და ქაღალდის პარკები. გამოთვალეთ, ერთი ტონა პოლიეთილენით რამდენი ხის გადარჩენა შეიძლება.

გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ტექსტში მოცემული პრობლემის მიმართ და წარმოადგენენ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს.

- **პროექტებით სწავლება** – თემის შესწავლისას მოსწავლეებთან ერთად ვგეგმავ პროექტს „ნარჩენების გონივრული მართვა“. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები მუშაობენ გუნდურად და წარმოადგენენ მათ მიერ შექმნილ პროდუქტს (მაგალითად, როგორ გამოიყენებენ პოლიეთილენის ნივთებს, მოდური აქსესუარების და საახალწლო დეკორაციების შესაქმნელად).
- **ციფრული რესურსის შექმნა** – სოციალური რეკლამა – პოლიეთილენის მავნებლობის შესახებ – საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით.

კრიტიკული აზროვნება საკლასო ოთახში

კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად მასწავლებელი მუდმივად შემოქმედებითად უნდა იყოს განწყობილი და მან გაკვეთილზე ხელი უნდა შეუწყოს: სხვადასხვა თვალსაზრისის, შეფასების, დამოკიდებულების არსებობას; კომუნიკაციის კულტურის განვითარებას; შაბლონურ და სტერეოტიპულ კითხვა-პასუხებზე უარის თქმას; სასწავლო პროცესის იმგვარად ორგანიზებას, რომ მოსწავლეებს მიეცეთ დამოუკიდებლად ფიქრისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა; გაკვეთილზე მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიის გამოყენებას.

ასეთ გარემოში მოსწავლეები გაიაზრებენ, რა ისწავლეს გაკვეთილზე, იმყარებენ შეძენილ ცოდნას, ახალი მასალის გათვალისწინებით, აქტიურად უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ დამოკიდებულებასა და შეხედულებებს. ერთსა და იმავე ფაქტსა თუ მოვლენას სხვადასხვა რაკურსით გაიაზრებენ, ეცნობიან განსხვავებულ შეხედულებებს, შემოქმედებითად გადაამუშავებენ სხვადასხვა ინფორმაციას, იძენენ უნარს, თავისუფლად გამოხატონ სუბიექტური დამოკიდებულება ყოველივეს მიმართ, სხვაც შეაფასონ და საკუთარი შესაძლებლობებიც სწორად აღიქვან.

კრიტიკულად მოაზროვნე მასწავლებელი ამაღლებს გაკვეთილზე ინფორმაციის მიღება-გადამუშავების ხარისხს, მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას, ცოდნისადმი მათ პასუხისმგებლობას, რათა მოსწავლემ სწავლა გაიაზროს არა როგორც მომაბეზრებელი რუტინა, არამედ როგორც სამყაროსა და საკუთარი თავის დაუსრულებელი, აღმოჩენებით სავსე შემეცნების პროცესი.

გაკვეთილზე მასწავლებელი კოორდინირებას უწევს მოსწავლის საქმიანობას, უჩვენებს გზას, მაგრამ არ სთავაზობს მზა გადაწყვეტილებებს.

კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებელი აზროვნებაა. ამიტომ მასწავლებლებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ თავისი იდეისა და მტკიცებულებების ჩამოყალიბება, ფაქტებისა და მოვლენების შეფასება და საკუთარი აზრის დაფიქსირება.

კრიტიკული აზროვნების ძირითადი საფუძველი ინფორმირება, ანუ ინფორმაციის ფლობაა. კრიტიკულად შეფასებისთვის, ობიექტის შესახებ ინფორმაცია უნდა გქონდეს. ამიტომ, წიგნიერების კომპეტენციაზე მუშაობა და კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება პირდაპირი მნიშვნელობით აისახება ერთმანეთზე.

კრიტიკული აზროვნება იწყება შეკითხვის დასმით, ანდა იმ პრობლემის განსაზღვრით, რომლის გადაჭრაც აუცილებელია. ამიტომ, შეკითხვის სწორად დასმა, ანუ პრობლემის იდენტიფიცირება და აზრის განვითარება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების აუცილებელი პირობაა.

კრიტიკული აზროვნება მიისწრაფვის მტკიცებულებებისკენ და დამაჯერებელი არგუმენტაციისკენ, თანაც ისე, რომ სხვის გამოცდილებას აქ ვერ გამოიყენებ. ამ მიმართულებით მუშაობისას, ეს თავისებურებაც ანგარიშგასაწევი და საგულისხმოა.

კრიტიკულ აზროვნებას სოციალური ხასიათი გააჩნია. ბუნებრივია, რომ ყველანაირი აზრის, იდეის შემოწმება ხდება, თუკი მას სხვასაც გაუზიარებ. ფილოსოფიური გამონათქვამის მიხედვით „სრულყოფილება მიიღწევა მხოლოდ ერთი გზით – ყოფნით, არსებობით – რაც უნდა დადასტურდეს სხვათა მიერ“. შესაბამისად, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სამუშაოების დაგეგმვისას უნდა დავუშვათ იდეის განხილვაზე მიმართული აქტივობებიც.

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების მოცემული თავისებურებები შეიძლება აისახოს მოსწავლეთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე, მისი განხორციელების გზა კი მრავალფეროვანი მეთოდური მიდგომებია, რომლებიც თავისთავადაც ძალიან საინტერესოა, მაგრამ თუ გამოვიყენებთ სასურველი მიმართულებით, შედეგები კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესრულებისა და სასწავლო პროცესის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების როლი. ის მნიშვნელოვანია როგორც დემოკრატიული კულტურის კომპეტენციაც, რომლისთვისაც დამახასიათებელია: კითხვების დასმა, მოსაზრებების გამოთქმა, ახალი იდეების წამოყენება; სხვადასხვა არგუმენტის მოშველიება; კვლევითი მეთოდების გამოყენება; პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტა; ცნობისმოყვარეობა და ინტერესი; მიზანმიმართულობა და კომპრომისი.

იფიქროს და იმოქმედოს მოსწავლემ ანალიტიკურად და კრიტიკულად ეს ნიშნავს, მოსწავლემ შეძლოს:

- ანალიზისას ინფორმაციის სისტემური დაყოფა შემადგენელ ნაწილებად და მათი ლოგიკური ბმა; თითოეული ელემენტის იდენტიფიცირება და ინტერპრეტირება; მსგავსება-განსხვავების გამოვლენა; შეუსაბამობების იდენტიფიცირება; ანალიზის შედეგების ორგანიზებულად და თანმიმდევრულად შეჯამება; საფუძვლიანი დასკვნების გაკეთება.
- შეფასება და დასკვნების გაკეთება, ნებისმიერი საგნის შესახებ მოლოდინებისა და ვარაუდების გაგება/შეფასება, რომლებიც საფუძვლად უდევს ინფორმაციას; პროპაგანდის იდენტიფიცირება; მასალის დაკავშირება ისტორიულ კონტექსტთან შესაბამისი დასკვნების გაკეთების მიზნით; ალტერნატიული ვერსიების განხილვა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრა; შეფასება; რესურსებისა და რისკების ანალიზი;

რატომ არის მნიშვნელოვანი?

კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება კიდევ უფრო ამდიდრებს მოსწავლის თვითმართული სწავლის შესაძლებლობებს, ცოდნის გასაღრმავებლად, გააზრებული კითხვების დასასმელად და კრიტიკული აზროვნების დასახვეწად.

კრიტიკულად მოაზროვნე მოსწავლე თავად განსაზღვრავს საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას. მასწავლებელთან ერთად მსჯელობს და მონაწილეობს დისკუსიაში, თანატოლებთან ჯგუფურ მუშაობასა და ელექტრონულ დისკუსიებში საკვლევი საკითხის და სხვა საჭირო ინფორმაციის განსაზღვრისთვის, აყალიბებს თეზისს და კითხვებს საჭირო ინფორმაციაზე დაყრდნობით. იკვლევს ინფორმაციის ზოგად წყაროებს შესასწავლი საკითხის უკეთ გასაცნობად. განსაზღვრავს ან ცვლის საჭირო ინფორმაციას უკეთ მართვის მიზნით, განსაზღვრავს ძირითად კონცეფციებსა და ტერმინებს, რომელიც აღწერს საჭირო ინფორმაციას. აცნობიერებს, რომ არსებული ინფორმაცია შესაძლოა გაერთიანდეს საწყის (ორიგინალურ) მოსაზრებებთან, ექსპერიმენტთან და/ან ანალიზთან და შესაძლებელია, შეიქმნას ახალი ინფორმაცია.

კრიტიკულად მოაზროვნე მოსწავლე განსაზღვრავს ინფორმაციის პოტენციური წყაროების სხვადასხვა ტიპებსა და ფორმატს. იცის, როგორ იქმნება, წესრიგდება და ვრცელდება ინფორმაცია ფორმალურად და არაფორმალურად. აცნობიერებს, რომ ცოდნა შესაძლებელია ორგა-

ნიზებული იყოს დისციპლინებად, რაც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ შეფასდება ინფორ-მაცია. განსაზღვრავს სხვადასხვა ფორმატის (მაგ., მულტიმედია, მონაცემთა ბაზა, ვებგვერდი, მონაცემთა ნაკრები, აუდიო/ვიზუალური, წიგნი) პოტენციური რესურსების მნიშვნელობასა და მათ განსხვავებებს. განსაზღვრავს პოტენციური რესურსების დანიშნულებასა და აუდიტორიას (მაგ., პოპულარული და სამეცნიერო, მიმდინარე და ისტორიული), განასხვავებს პირველად და მეორეულ წყაროებს, აცნობიერებს, როგორ იცვლება მათი გამოყენება და მნიშვნელობა სხვა-დასხვა დისციპლინის ფარგლებში. აცნობიერებს, რომ შესაძლოა საჭირო იყოს ინფორმაციის შექმნა თავდაპირველი წყაროების ნედლი მონაცემების საფუძველზე.

კრიტიკულად მოაზროვნე მოსწავლე ითვალისწინებს საჭირო ინფორმაციის მოპოვების დანახარჯებსა და სარგებელს. განსაზღვრავს საჭირო ინფორმაციის მისაწვდომობას და ადგი-ლობრივი რესურსების ფარგლებს გარეთ ინფორმაციის მოპოვების პროცესის გაფართოების შესახებ აკეთებს არჩევანს. განიხილავს ახალი ენის ან უნარების შესწავლის (მაგ., უცხოური ენის ან ტერმინოლოგიის) აუცილებლობას საჭირო ინფორმაციის თავმოყრის და მისი კონ-ტექსტის გაგების მიზნით. განსაზღვრავს საჭირო ინფორმაციის მოპოვების რეალისტურ ზოგად გეგმასა და დროს. შეუძლია საჭირო ინფორმაციის ბუნებისა და მოცულობის გადაფასება.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს პედაგოგიურ საზო-გადოებას და სკოლის საგნობრივ კათედრებს. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სწავლებაში კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ მიმართული დავალებების გამოყენება, რომლებიც უხსნის გზას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, იწვევს აღმო-ჩენებისა და სიახლის ძიების მიმართ მათ დადებით დამოკიდებულებას.

გზამკვლევის დამზადება შესაძლებელი
გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის
შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების
საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
(USAID) დაფინანსებით. გზამკვლევის შინაარსზე
პასუხისმგებელია განათლების კოალიცია.
ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის,
ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის
ან/და EWMI-ს შეხედულებებს.